სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/180

ქ. თბილისი 10 09 2018 წ.

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ", სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 სექტემბრის №809/ი ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის N209 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის 11 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს თ.წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ

ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2018 წლის 24 სექტემბრისა;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

6. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი / ა.ფრანგიშვილი

დანართი 1

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. ატესტატი (დედანი და ასლი);
2. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);
3. ვაჟებისათვის სამხედრო მიწერის მოწმობა (დედანი და ასლი);
4. 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკი).